

საქართველოს კანონი

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის
თაობაზე

მუხლი 1. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში
(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №28, 30.10.2008, მუხ. 172) შეტანილ იქნეს ცვლილება
და მე-4 მუხლის:

1. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულის გარდა, ყველა სხვა
მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის
და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის აკრძალულია და იწვევს პასუხისმგებლობას
საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

2. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ
პირებზე შეიძლება გაიცეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე აკრძალული მიმართულებიდან
შესვლის სპეციალური თანხმობა, რომელსაც გასცემს საქართველოს მთავრობა
განკარგულებით, თუ ეს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის
მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის
ნდობის აღდგენის ან ჰუმანიტარულ მიზნებს.“

3. მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) იმ პირზე, რომელიც საქართველოს მთავრობის სპეციალური თანხმობის გარეშე
შევიდა/შევა აკრძალული მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თუმცა
საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ოკუპირებულ
ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ მიიღებს საქართველოს მთავრობის სპეციალურ
თანხმობას.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მ. სააკაშვილი